

## 6.2. შსაზრთხოების უზრუნველყოფის სქემა ებსზ-ში

თუ შევეცდებით ბოსნიური სქემის გამოყენებას აფხაზეთის შემთხვევაში, ფუნქციების განაწილებას შემდეგი სახე ექნება:

1. ეგსზ-ის მოქმედების პირველ ეტაპზე სტაბილიზაციის ძალების ფუნქციას შეასრულებს უკვე არსებული დსთ-ის სამშვიდობო ძალები. მათი მოვალეობა იქნება ცეცხლის შეწყვეტისა და საბრძოლო მოქმედების განუახლებლობის უზრუნველყოფა. ამასთან, განსხვავებით SFOR-ისაგან, მათი მანდატი ბევრად უფრო შეზღუდული იქნება და მათ არ ექნებათ უფლება, ჩაერიონ ტვირთების მოძრაობაში ან ნებისმიერ სხვა ეკონომიკურ ღონისძიებაში. ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ, ბოსნიისაგან განსხვავებით, აფხაზეთში უკვე 13 წელია შენარჩუნებულია ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი, სამშვიდობო ძალების მანდატი დასრულდება და ისინი გავლენ კონფლიქტის ზონიდან საკმაოდ სწრაფად, ზონის ამუშავების პირველი ეტაპის დასრულებისთანავე;
2. უსაფრთხოების სისტემის მეორე საფეხური იქნება მრავალეროვნული სპეციალური დანაყოფი (Multinational Specialised Unit – MSU), რომელიც დაკომპლექტდება საერთაშორისო კონტინგენტით და განლაგდება 0-12 და 12-24 კმ ზონებში, აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარეს. მისი ფუნქციები ბოსნიური მოდელის ანალოგიური იქნება;
3. უსაფრთხოების სისტემის მესამე საფეხური იქნება საერთაშორისო საპოლიციო ძალები (IPTF), რომელიც დაკომპლექტდება საერთაშორისო კონტინგენტით და განლაგდება 0-12, 12-24 და 24-30 კმ ზონებში, აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარეს. მათი ფუნქციები ბოსნიური მოდელის ანალოგიური იქნება, ხოლო ძირითადი მიზანი – მულტიეთნიკური პრინციპით დაკომპლექტებული შერეული საპოლიციო ძალების მომზადება და ამოქმედება.
4. საბაჟოებზე განხორციელდება საერთაშორისო მონიტორინგი – რჩევისა და მონიტორინგისთვის შესაძლებელია ეკროკავშირის სასაზღვრო სააგენტოსა და დსთ-ის წარმომადგენელთა გამოყენება.

## 6.3. შსაზრთხოების უზრუნველყოფის რისკები

პროექტის განხორციელების პროცესში იარსებებს შემდეგი რისკები:

- რუსეთის მხრიდან აღნიშნული პროექტის განხორციელებისათვის წინააღმდეგობის გაწევა – პირდაპირი (უშუალო პოლიტიკური წინააღმდეგობა) ან არაპირდაპირი (წინააღმდეგობა აფხაზების, კაზაკების ან ჩრდილოეპიკასიელების გამოყენებით) გზით;
- სტატუს-კეოს შენარჩუნება და კონტრაბანდული საქონლის გადაადგილება;
- დაინტერესებული ჯგუფების მიერ არეულობის/დაძაბულობის პროვოკირება;
- პროექტის მოწყობა დსთ-ის სამშვიდობო ძალების მიერ არალეგალური შემოსავლის მიღების მიზნით – ტვირთების გაჩერებისა და

კონტროლის მცდელობა, ადამიანების გადაადგილებისათვის შეფერხების შექმნა;


- პროცესუაციების მოწყობა და არეულობის შექმნა აფხაზური მხარის შეიარაღებული ფორმირებების მიერ კონფლიქტის მოწესრიგებისათვის იდეოლოგიური მოსაზრებებით ხელის შეშლის ან არალეგალური შემოსავლის მიღების მიზნით;
- კონფლიქტის ზონაში არსებული რთული კრიმინოგენული ვითარება;
- აფხაზური მხარის შეიარაღებული ჯგუფების მიერ გალის რაიონში რეკეტისა და ფულის გამოძალვის მცდელობები;
- პრობლემები საერთაშორისო საპოლიციო ძალებსა და ადგილობრივ პოლიციას შორის ყოველდღიურ სამუშაო ურთიერთობებში.

#### 6.4. საერთაშორისო საარმიტო ძალებისა და მრავალეროვნული საეციალური დანაყოფის დაკომალებული შესაძლო ვარიანტები

1. ევროკავშირის საპოლიციო ძალები ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის (ESDP) ფარგლებში. შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ბოსნიასა და მაკედონიაში მიმდინარე საპოლიციო ოპერაციების გამოცდილება;
2. ევროკავშირის ცალკეული ქვეყნების საპოლიციო ძალები „მსურველთა კოალიციის“ პრინციპით. შესაძლოა დაემატოს ზოგიერთი არაწევრი მსურველი ქვეყნის კონტინგენტებიც;
3. ცალკეული ქვეყნების საპოლიციო ძალები „მსურველთა კოალიციის“ პრინციპით, გაეროს უშიშროების საბჭოს მანდატით მიმდინარე ოპერაციის ფარგლებში;
4. ცალკეული ქვეყნების საპოლიციო ძალები „მსურველთა კოალიციის“ პრინციპით, ეუთო-ს მანდატით მიმდინარე ოპერაციის ფარგლებში;
5. ნატოს წევრი-სახელმწიფოების ძალები ამ ორგანიზაციის დამოუკიდებელი ოპერაციის ფარგლებში, ბოსნიასა და კოსოვოს გამოცდილების გათვალისწინებით;
6. ნატოს ცალკეული ქვეყნების საპოლიციო ძალები „მსურველთა კოალიციის“ პრინციპით. შესაძლოა დაემატოს ზოგიერთი არაწევრი მსურველი ქვეყნის კონტინგენტებიც;
7. ნატოს წევრი-სახელმწიფოების ძალები, გაეროს უშიშროების საბჭოს მანდატით მიმდინარე ოპერაციის ფარგლებში, ცალკეული მსურველი ქვეყნების დამატებით საპოლიციო ძალებთან ერთად.

## 6.5. ებსზ-ში უსაფრთხოების უზრუნველყოფის ეტაპები სქემა


### 6.5.1. ებსზ-ის ამოქმედების პირველი ეტაპი



#### ძირითადი მახასიათებლები:

- ეგსზ ფუნქციობას იწყებს მხოლოდ სამეგრელოს მიმართულებით. ზონა ფუნქციონირებს ცალმხრივი გამტარებლობით, ანუ აფხაზურ მხარეს ეძლევა ეკონომიკურ პროექტებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა. იმავდროულად, ზონის საზღვარზე (ორივე მხარეს) იმუშავებს საბაჟო კონტროლი, ოღონდ აფხაზეთის მხარეს მხოლოდ საქონლის აღრიცხვის და არა დაბეგვრის ფუნქციით;
- დსტ-ის სამშენებლო ძალები რჩებიან დღევანდელი განლაგების აღვილას. მათი მანდატი იქნება ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის დაცვა 0-12 კმ ზონაში. ისინი არ ერევიან ტერიტორიების მოძრაობასა და ტრანზიტში;
- ქართულ მხარეს 0-12, 12-24 და 24-30 კმ ზონებში განთავსდება საერთაშორისო საპოლიციო ძალების (სსპ) დანაყოფი შეზღუდული (ძირითადი, სამეთვალყურეო) ფუნქციებით;
- ქართულ მხარეს 0-12 და 12-24 კმ ზონებში განთავსდება სამხედრო პოლიციის მრავალურენტული სტრუქტური დაზაფლური (მსდ) მსუბუქი შეიარაღებით. მისი მანდატი იქნება ისეთი ტიპის როტული, კრიზისული სიტუაციების მენეჯმენტი, რომლებშიც მონაწილეობს მრავალრიცხოვანი სამოქალაქო მოსახლეობა და, ამდენად, მიზანშეუწონელია პოლიციის ან სამხედროების გამოყენება;
- ქართულ მხარეს 0-12, 12-24 და 24-30 კმ ზონებში ძირითად წესრიგს იცავს ქართული მხარე;
- აფხაზური მხარის არც ერთ ზონაში არ ხდება დამატებითი კონტრინგენტის განლაგება, ფუნქციონირებს 1994 წლის შეთანხმების თანახმად დღეისათვის არსებული სქემა.


### 6.5.2. ეგსზ-ის ამოქმედების მეორე ეტაპი



#### ძირითადი მახასიათებლები:

- ეგსზ ფუნქციონას იწყებს სრული მოცულობით, აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარეს;
- დსთ-ის სამშენებლო ძალები რჩებიან დღევანდელი განლაგების ადგილას. მათი მანდატი იქნება ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის დაცვა 0-12 კმ ზონაში. ისინი არ ერევიან ტვირთების მოძრაობასა და ტრანზიტი;
- 0-12, 12-24 და 24-30 კმ ზონაში განლაგდება საერთაშორისო საპოლიციო ძალების კონტინგენტი სამეთვალყურეო, სასწავლო და საზღვაო ფუნქციებით;
- ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარეს 0-12 და 12-24 კმ ზონებში განთავსდება სამხედრო პოლიციის შრავალურობის საპუნქტო დანარისებული მსებუქი შეიარაღებით. მისი მანდატი იქნება ისეთი ტიპის როტული, კრიზისული სიტუაციების მენეჯმენტი, რომლებშიც მონაწილეობს მრავალრიცხოვანი სამოქალაქო მოსახლეობა და, ამდენად, მიზანშეუწოებლივი პოლიციის ან სამხედროების გამოყენება;
- 0-12, 12-24 და 24-30 კმ ზონებში ძირითად წესრიგს იცავენ მხარეთა პოლიციები;


### 6.5.3. ეგსზ-ის ამოქმედების მესამე ეტაპი



#### ძირითადი მახასიათებლები:

- დსთ-ის სამშვიდობო ძილები გადიან 0-12 კმ ზონიდან. მათ ნაცვლად ზონაში ძირითად წესრიგს იცავენ მხარეთა პოლიციური ძალები, მრავალური ქადაგები საკუთარები და საერთაშორისო საპოლიციო ძალები;
- 0-12, 12-24 და 24-30 კმ ზონაში რჩება საერთაშორისო საპოლიციო ძალების კონტინგენტი სამეთვალყურეო, სასწავლო და საზედამხედველო ფუნქციებით;
- 0-12 და 12-24 კმ ზონებში რჩება სამხედრო პოლიციის მრავალუროვნეული სპეციალური დაზაფრული მსუბუქი შეიარაღებით. მისი მანდატი იქნება ისეთი ტიპის რთული, კრიზისული სიტუაციების შენეჯმენტი, რომლებშიც მონაწილეობს მრავალრიცხვოვანი სამოქალაქო მოსახლეობა და, ამდენად, მიზანშეუწონელია პოლიციის ან სამხედროების გამოყენება;
- 0-12, 12-24 და 24-30 კმ ზონებში ძირითად წესრიგს იცავენ მხარეთა პოლიციები;
- 0-12 კმ ზონაში დამატებით განლაგდება დაპირისპირებულ მხარეთა საპოლიციო ძალების შეზღუდული კონტინგენტები, ძირითადად, სამეთვალყურეო და სასწავლო ფუნქციებით.

#### 6.5.4. ეგსტ-ის ამოქმედების მეოთხე ეტაპი



#### ძირითადი მახასიათებლები:

- 0-12 კმ ზონაში იქმნება და პასუხისმგებლობას იღებს მხარეთა შერეული პოლიციური ძალები. მუშაობის მიზანი იქნება წესრიგის დაცვა ეგსტ-ის შეუფერხებელი მუშაობისათვის. ამავე ზონაში რჩება საერთაშორისო საპოლიციო ძალების დანაყოფი სამეთვალყურეო, სასწავლო და საზედამხედველო ფუნქციებით, აგრეთვე მრავალერთობნებით საქონალური დანაწევი;
- 0-12 და 12-24 კმ ზონებში რჩება სამხედრო პოლიციის მრავალერთობნები სპეციალური დანერვული მსუბუქი შეიარაღებით. მისი მანდატი იქნება ისეთი ტიპის როლი, კრიზისული სიტუაციების მენეჯმენტი, რომლებმიც მონაწილეობს მრავალრიცხოვანი სამოქალაქო მოსახლეობა და ამდენად, მიზანშეუწონელია პოლიციის ან სამხედროების გამოყენება;
- 0-12, 12-24 და 24-30 კმ ზონაში რჩება საერთაშორისო საპოლიციო ძალების კონტინგენტი სამეთვალყურეო, სასწავლო და საზედამხედველო ფუნქციებით;

#### უკავიარებელი მოვლენები:

იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხერხდა შეთანხმება აფხაზეთის აღმინისტრაციული საზღვრის მრივების გენერალური შექმნის თაობაზე, ასეთი შეთანხმების მიღწევამდე ამოქმედდება მხოლოდ I ეტაპის შესაბამისი სქემა.

## 7. ეპონომიკური განვითარების საეციალური ზონის შექმნისა და უზრუნველყოფის სამართლებრივი ასამაღლებები

აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე ეგსზ-ის შექმნის რამდენიმე ვარიანტი, სამართლებრივი რეჟიმის თვალსაზრისით ორ ძირითად მოდელში შეიძლება გაერთიანდეს:

- ზონის შექმნა საქართველოს *de facto* იურისდიქციის ფარგლებში (აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის აღმოსავლეთით)
- ზონის შექმნა საქართველოს *de jure* იურისდიქციის ფარგლებში (აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარეს).

აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარეს ეგსზ-ის შექმნასა და ფუნქციონაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კონფლიქტის შედეგად გაჩენილი პოლიტიკური და სამართლებრივი პრობლემები, ამიტომ ასეთი შემთხვევისთვის შექმნილი სამართლებრივი მექანიზმების რეალურობა დიდად იქნება დამოკიდებული კონფლიქტის მოგვარების პოლიტიკური პროცესის მსვლელობაზე. არც ისაა გამორიცხული, რომ ეგსზ თავდაპირველად შეიქმნას აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის აღმოსავლეთით და შემდეგ თანდათან გაფართოვდეს მის დასავლეთით.

### 7.1. სამართლებრივი *de facto* იურისდიქციის უარგლებაზი ებსზ-ის შექმნისა და უზრუნველყოფის სამართლებრივი ასამაღლებები

#### 7.1.1. ეგსზ-ის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის ფორმა

ეგსზ-ის ცალმხრივ რეჟიმში, ანუ *de facto* იურისდიქციის ფარგლებში, შექმნის შემთხვევაში მისი სამართლებრივი სტატუსი უნდა განისაზღვროს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების აქტით.

აღნიშნული საკითხის მოწესრიგება ყველაზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია კონსტიტუციური კანონის მეშვეობით, ან ორგანული კანონით მაინც. ართალია, სხვა სახელმწიფოებში ზემოაღნიშნული საკითხის კონსტიტუციურ დონეზე ამგვარი მოწესრიგების პრაქტიკა არ გვხდება და ეს საკითხი, როგორც წესი, ჩვეულებრივი კანონის დონეზე წყდება, მაგრამ მიგვაჩნია, რომ საქართველოში ამ მოდელის დანერგვა ყველაზე უფრო უპრიანია. ეს ძირითადად იმითაა განპირობებული, რომ ეგსზ-ის საკითხის აქტუალიზაცია, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია ქვეყანაში ტერიტორიული კონფლიქტების მშვიდობიანი მეთოდებით მოწესრიგების სურვილით. ამ ამოცანის გადასაწყვეტად კი სასურველია ზონის სამართლებრივი სტატუსი განისაზღვროს იურიდიული იერარქიის უმაღლეს საფეხურზე მდგრმი სამართლებრივი აქტით.

ამ საკითხზე კონსტიტუციური კანონის მიღებას აქვს ერთი ხარვეზი – მისი მიღებისა და შეცვლის ოპერატორულობა დაბალია, ვინაიდან კონსტიტუციური კანონი უნდა გამოქვეყნდეს საერთო-სახალხო განხილვისათვის და გამოქვეყნებიდან მხოლოდ ერთი თვის შემდეგ არის შესაძლებელი მისი განხილვის დაწყება საქართველოს პარლამენტში. ამასთან, მისი მიღება ან შეცვლა საჭიროებს პარლამენტის კვალიფიციურ უმრავლესობას.

სამაგიეროდ, კონსტიტუციური კანონის მიღებას აქვს მთელი რიგი მნიშვნელოვანი უპირატესობებისა:

- ის საკითხი, რომ კონსტიტუციური კანონის შეცვლა ან გაუქმება გართულებულია სპეციალური ვადებისა და მაღალი კვორუმის აუცილებლობით, მნიშვნელოვან უპირატესობადაც შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან ეგსზ-ში სტაბილური თამაშის წესები მას უფრო მიმზიდველს გახდის ინვესტორისათვის;
- წლების მანძილზე საქართველოს მხარეს არაერთი ხელშეკრულებისათვის აქვს მოწერილი ხელი კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების არსებობისა და საქმიანობის თაობაზე. ამ ხელშეკრულებებით სხვა უფლებამოსილებებითან ერთად სამშვიდობო ძალებს მინიჭებული აქვთ ტრანსპორტირება-გადაზიდვების კონტროლის უფლებამოსილება (მაგალითად, დსტ-ის წევრი სახელმწიფოების 1996 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილება „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში კოლექტიური სამშვიდობო ძალების შესახებ დებულების დამტკიცების შესახებ“). საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია საერთაშორისო ნორმის უპირატესობა შიდასახელმწიფოებრივი აქტის მიმართ. თუმცა, კონსტიტუციითვე დადგენილია, რომ საქართველოს კონსტიტუციასა და კონსტიტუციითვე დადგენილია, რომ საქართველოს მოწესრიგება კონსტიტუციური კანონით (მაგალითად, აღნიშნული საკითხის მოწესრიგება კონსტიტუციური კანონით (მაგალითად, იმის დადგენა, რომ ეგსზ-ში აკრძალულია ტვირთების შემოწმება, მათი გადაადგილების შეფერხება და ა.შ.) დამატებით სამართლებრივ გარანტიებს შეუქმნის საქართველოს ხელისუფლებას დსტ-ის სამშვიდობო ძალებითან ამა თუ იმ საკითხის გამო დავის წარმოშობის შემთხვევაში (მათ შორის, საწარმოთა ფუნქციონიბის, ტვირთების უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილების გამო და ა.შ.);
- ეგსზ-ის ფუნქციონისათვის აუცილებელია სპეციალური სამართლებრივი რეჟიმის, შეღავათებისა და გამონაკლისების დადგენა, რაც საჭიროებს სათანადო ცელილებების შეტანას სხვადასხვა სამართლებრივ აქტებში (კონსტიტუცია, ორგანული კანონი, კანონი და ა.შ.). კონსტიტუციური კანონის უმაღლესი ნორმატიული ძალა შესაძლებლობას მოგვცემდა, თავიდან აგვეცილებინა ნორმათა კოლიზიის პრობლემა და ეგსზ-ის მარეგულირებელი ნორმების გაბნევა სხვადასხვა სამართლებრივ აქტებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უპრიანი იქნებოდა მიღებულიყო კონსტიტუციური კანონი „ეკონომიკური განვითარების სპეციალური ზონების შექმნისა და ფუნქციონის ძირითადი პრინციპების შესახებ“, რომე-

ლიც გახდებოდა საქართველოს კონსტიტუციის ნაწილი („შესაძლებელია საოთანადო მუხლების ჩამატებაც კონსტიტუციის შესაბამის თავში – „სახელმწიფო ფინანსები და კონტროლი“). ამ კანონით დადგენილი და პირდაპირ განსაზღვრული პრინციპები საკითხების გარდა, კანონში უნდა ჩაიდოს ბლანკეტური ნორმები, რომლებიც ამა თუ იმ სპეციფიკური საკითხის მოწესრიგების უფლებამოსილებას (სპეციფიკურობისა და ოპერატიულობის ინტერესებიდან გამომდინარე) გადაამისამართებდა სხვადასხვა სამართლებრივ აქტებზე (კანონზე, პრეზიდენტის ბრძანებულებაზე, მთავრობის დადგენილებაზე და ა.შ.).

„ეკონომიკური განვითარების სპეციალური ზონების შექმნისა და ფუნქციონირების ძირითადი პრინციპების შესახებ“ კონსტიტუციური კანონით უნდა განისაზღვროს შემდეგი უმნიშვნელოვანესი პრინციპები:

- ეგსზ-ის შექმნისა და გაუქმების საფუძვლები და წესი, მისი არსებობის მინიმალური ვადა;
- ეგსზ-ის სახეები;
- ეგსზ-ის ფუნქციონირებისა და ინვესტიციების დაცვის სახელმწიფო გარანტიები;
- იმ შეღავათების ზოგადი ჩამონათვალი (მაგალითად, საგადასახადო, საბაჟო, შრომითი, სოციალური და ა.შ.), რომელიც იმოქმედებს ეგსზ-ში;
- იმ საქმიანობისა და პროდუქციის ჩამონათვალი, რომელთა წარმოებაც აკრძალული ან შეზღუდულია ეგსზ-ში;
- სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოთა განსაკუთრებულ კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები;
- დავის გადაწყვეტის წესი;
- ეგსზ-ის სახელმწიფო რეგულირების ორგანოს (მაგალითად, სამეთვალყურეო საბჭოს) შექმნისა და საქმიანობის წესი;
- სხვა პრინციპები საკითხები.

#### 7.1.2. ეგსზ-ის შექმნა

ვინაიდან ეგსზ-ის შექმნა დაკავშირებულია საკითხებთან, რომლებიც შედის როგორც ხელისუფლების საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელ განშტოებათა კომპეტენციაში, უნდა შეირჩეს ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს უველა დაინტერესებული უწყების მონაწილეობას ამ პროცესში. აქ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შედეგი მექანიზმი:

- ყოველი კონკრეტული ეგსზ იქმნება სპეციალური კანონით;
- პარლამენტისათვის შესაბამისი კანონპროექტის წარდგენის უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს მთავრობას;
- პარლამენტი კანონს იღებს აბსოლუტური უმრავლესობით;
- კანონს ხელს აწერს და აქვეყნებს საქართველოს პრეზიდენტი.

ამ მექანიზმით პროცესში ჩართულია პარლამენტი, როგორც ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების

განმსაზღვრელი ორგანო, ასევე საქართველოს მთავრობა და პრეზიდენტი, როგორც საშინაო და საგარეო პოლიტიკის განმახორციელებელი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ყოველი კონკრეტული ეგსტ-ის გახორცი  
შექმნას ის უპირატესობა აქვს, რომ კონსტიტუციური კანონი დაადგენს  
უმთავრეს პრინციპებს, ხოლო წმინდა სპეციფიკური საკითხების მოგვარების  
უფლებამოსილებას გადასცემს კანონს კონკრეტული ეგსტ-ის შესახებ. ასეთი  
კანონით უნდა განისაზღვროს ისეთი სპეციფიკური საკითხები, როგორიცაა:

- ეგსტ-ის ფორმა;
  - ეგსტ-ის არსებობის ვადა;
  - ეგსტ-ის საზღვრები, შესვლა-გამოსვლის წესები;
  - საგადასახადო და საბაჟო რეჟიმი;
  - მიღებული შემოსავლების განაწილების წესი;
  - საწარმოთა რეგისტრაციასა და ფუნქციონალური დაკავშირებული სპეციალური საკითხები;
  - სხვა სპეციფიკური საკითხები.

### 7.1.3. ეგსტ-ის მართვა

ეგსზ-ის მართვის საკითხი დაკავშირებულია არა მარტო უშუალოდ ზონის მართვასთან, არამედ თვითმმართველობის საკითხებთანაც. ერთი მხრივ, ეგსზ-ს აუცილებლად სჭირდება მართვის სპეციფიკური მექანიზმები, ხოლო მეორე მხრივ, გამართლებული არ იქნება ზონის ტერიტორიაზე აღგილობრივ თვითმმართველობაზე უარის თქმა. ზონის ტერიტორიაზე განლაგებულ აღმინისეგრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში უნდა დარჩეს ჩვეულებრივი აღგრ

ლობრივი თვითმმართველობა, ხოდო ეგსზ-ის მართვის ფუნქცია უნდა განახორციელოს ეგსზ-ის აღმინისტრაციამ (მმართველმა საბჭომ), რომლის შემადგენლობაშიც იქნებიან ცენტრალური ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის, საზოგადოებისა და ბიზნესწრეების წარმომადგენლები (აღმინისტრაციის შემადგენლობაში, წევრის ან მეთვალყურის სტატუსით, შეიძლება იყოს საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელი). იმავდროულად, თვითმმართველობის ორგანოებისა და ეგსზ-ის აღმინისტრაციის (მმართველი საბჭოს) ფუნქციები მკაფიოდ უნდა იყოს გამიჯნული. აღმინისტრაციის კომპეტენციაში უნდა შედიოდეს მხოლოდ ის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიკური ზონის ფუნქციობასთან, ინვესტიციების მოზიდვასთან, ზონის ინტერესებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურისა და მთლიანად ზონის პერსპექტიულ განვითარებასთან, ანუ ზონის ფუნქციობასთან დაკავშირებული წმინდა ეკონომიკური ტიპის საკითხები. რაც შეეხება მართლწესრიგისა და დამნაშავეობასთან ბრძოლის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, გარემოს დაცვისა და სხვა საკითხებს, ისინი უნდა დარჩეს ადგილობრივი თვითმმართველობისა და სახელმწიფოს ცენტრალური მმართველობის რეგიონული ორგანოების გამგებლობაში.

ეკონომიკური ზონების აღმინისტრაციების (მმართველი საბჭოების) საქმიანობაზე ზედამხედველობისათვის უნდა არსებობდეს ეკონომიკური განვითარების სპეციალური ზონების სამეთვალყურეო საბჭო. საბჭო შესაძლოა შედგებოდეს სავარაუდო 5 წლის ვადით არჩეული 7 წევრისაგან, რომელთა წარდგენაც მოხდება ფინანსთა, ეკონომიკური განვითარების, ბუნებრივი რესურსების დაცვისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების, საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტის აღმინისტრაციის მიერ. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობას პრეზიდენტთან შეთანხმებით საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს მთავრობა. საბჭო თავისი შემადგენლობიდან აირჩევს თავმჯდომარეს. სამეთვალყურეო საბჭოს ძირითადი ფუნქცია იქნება:

- ეკონომიკური განვითარების სპეციალური ზონების განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელების ხელშეწყობა;
- კონკრეტული სპეციალური ზონების აღმინისტრაციების (მმართველი საბჭოების) შექმნა, დაკომპლექტება და მათი საქმიანობის კონტროლი;
- ეკონომიკური განვითარების სპეციალურ ზონებში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა;
- სახელმწიფო ორგანოებსა და ეკონომიკური განვითარების სპეციალურ ზონებს შორის კოორდინირებული ურთიერთობის ხელშეწყობა.

#### 7.14. ეგსზ-დან მიღებული შემოსავლის განაწილების საკითხი

წინა პარაგრაფში აღინიშნა, რომ მეტად მნიშვნელოვანია მკაფიოდ გაიმიჯნოს ეგსზ-ის ტერიტორიაზე არსებული თვითმმართველობის ორგანოთა და ზონის მმართველი საბჭოს კომპეტენციები. ამასთან, ერთ-ერთი უმნიშ-

ვნელოვანების საკითხია ფინანსური და ქონებრივი კომპეტენციების გამიჯვნა. მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივ თვითმმართველობებს პქონდეთ თავისი ქონება და საგადასახადო შემოსავალი იმისათვის, რომ შესძლონ თავისი ფუნქციის შესრულება და მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, ისევე, როგორც ზონის ადმინისტრაციას უნდა პქონდეს შემოსავალი, რათა შესძლოს თავისი ფუნქციის სათანადოდ შესრულება (მაგალითად, შესაძლოა, რომ ზოგიერთი გადასახადიდან მათ დარჩეთ გარკვეული პროცენტი). ამისათვის აუცილებელი იქნება, რომ კანონით დეტალურად განისაზღვროს ეს საკითხები. კონსტიტუციური კანონი ამისათვის ნაკლებად გამოსადეგი იქნება, ვინაიდან ის ზოგად პრინციპებს დაადგენს და ვერ შესძლებს შველა ეკონომიკური ზონის სპეციფიკის ასახვას. ამიტომ უმჯობესი იქნება, რომ კონსტიტუციურმა კანონმა ამ საკითხის მოწესრიგება გადაამისამართოს ყოველი კონკრეტული ეგსზ-ის შესახებ კანონზე და ამ უკანასკნელის მეშვეობით მოხდეს საკითხის გადაწყვეტა საჭიროებიდან და მიზანშეწონილობიდან გამომდინარე.

## 7.2. სამართლებრივი *de jure* იურისდიქციის ფარგლებში ებსზ-ის შემნისა და ფუნქციონირების სამართლებრივი ასპექტები

### 7.2.1. ეგსზ-ის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის ფორმა

საქართველოს *de jure* იურისდიქციის ფარგლებში ეგსზ-ის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის საკითხი დიდად არის დამოკიდებული კონფლიქტის მოგვარების პოლიტიკური პროცესის მსვლელობაზე. საქართველოს *de jure* იურისდიქციის ფარგლებში ეგსზ-ის შექმნას თან უნდა ახლდეს შესაბამისი ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა (IDP's) უპირობო დაბრუნება.

7.1 პარაგრაფში წარმოვადგინეთ ეგსზ-ის შექმნის ცალმხრივი მოდელი, თუმცა, ამ მოდელის ბევრი მექანიზმი შესაძლოა ქმედითი და სასარგებლო აღმოჩნდეს ორმხრივი მოდელის გამოყენების შემთხვევაშიც.

საქართველოს *de jure* იურისდიქციის ფარგლებში ეგსზ-ის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრისას აუცილებელია თავიდან იქნეს აცილებული რიგი საფრთხეებისა, როგორიცაა აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს ხელისუფლების იურისდიქციის არარსებობის აღიარება ნორმატიული აქტით; აფხაზეთის *de facto* ხელისუფლების აღიარება დამოუკიდებელ სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტად და ა.შ.

ამიტომ პირველი ნაბიჯი უნდა იყოს ის, რაც აღვნიშნეთ 7.1.1 პარაგრაფში: საქართველოს ხელისუფლებამ უნდა მიიღოს კონსტიტუციური კანონი „ეკონომიკური განვითარების სპეციალური ზონების შექმნისა და ფუნქციონირების ძირითადი პრინციპების შესახებ“, რომლითაც დადგინდება ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების სპეციალური ზონების შექმნის შესაძლებლობა, შექმნის წესი და საქმიანობის ძირითადი პრინციპები.

შემდეგი ეტაპი იქნება მოლაპარაკების დაწყება აფხაზურ მხარესთან აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ ეგსზ-ის შექმნისა და ფუნქციონისათვის ერთობლივ დონისძიებათა გატარების თაობაზე. ამისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს იმავე სახის მრავალმხრივი კომისიის ფორმატი, როგორიცაა აფხაზეთის ან ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის მოგვარების ხელშემწყობი მრავალმხრივი კომისიები (ამ კომისიაში ქართულ და აფხაზურ მხარეებთან ერთად შეიძლება ჩაერთონ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და რუსეთის წარმომადგენლები). შეათანხმების მიღწევის შემთხვევაში დღის წესრიგში დადგება საკითხი იმ სამართლებრივი დოკუმენტის შესახებ, რომლითაც აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე შეიქმნება ეგსზ. ზემოაღნიშნულ საფრთხეთა თავიდან აცილების მიზნით ყველაზე მისაღებად ჩანს შემდეგი მოდელი: „აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე ეკონომიკური განვითარების სპეციალური ზონის შექმნისა და ფუნქციონის შესახებ“ საქართველოს კანონით (ასეთი სახის კანონის თაობაზე ჩეტალურად გვქონდა საუბარი 7.1.1 პარაგრაფში, ამიტომ აქ მას აღარ განვიხილავთ) აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ იქმნება ეგსზ მრავალმხრივი კომისიის ფარგლებში მიღწეული შეთანხმების შედეგად დადგენილ საზღვრებში და წესით. ამ გზით, ერთი მხრივ, თავიდან ავიცილებთ ნორმათა კოლიზიის პრობლემას, ხოლო მეორე მხრივ, ავიცილებთ აფხაზური მხარის დამოუკიდებელ სამართლებრივ სუბიექტად დაფიქსირების პრობლემას.

## 7.2.2. ეგსზ-ის მართვა

ურიად მნიშვნელოვანია აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე ეგსზ-ის მართვის ოპტიმალური მოდელის შერჩევა. საჭიროა შეიქმნას მართვის ორგანო, რომელიც გადაწყვეტს ეგსზ-ის ფუნქციონისათვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა ზონის მართვა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, დავების გადაწყვეტა, შემოსავლების განაწილება, საბაჟო კონტროლი და ა.შ. ყველაზე ოპტიმალურად ჩანს შემდეგი მოდელი: მრავალმხრივი კომისია აღწევს შეთანხმებას, რომ ზუგდიდის თვითმმართველობასა და გალის *de facto* თვითმმართველობას შორის (აქ შესაძლოა გალის *de jure* თვითმმართველობის მონაწილეობის საკითხის განხილვაც) ფორმდება ხელშეკრულება ეგსზ-ის ერთობლივი მართვის თაობაზე. ამის შესაძლებლობას იძლევა „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-8<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმადაც, „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ უფლებამოსილებათა ეფექტიანად განხორციელების მიზნით უფლება აქვთ დადგენილი წესით, ხელშეკრულების საფუძველზე, შექმნას ერთობლივი ორგანოები, რომლებსაც გადასცემენ მათ უფლებამოსილებაში არსებულ

ცალკეულ ერთგვაროვან ფუნქციებს და ამ ფუნქციათა განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს“.

მნიშვნელოვანი იქნება ის გარემოება, რომ მმართველ ორგანოში ქართული მხარისაგან ჩაერთონ გალის *de jure* თვითმმართველობის წარმომადგენლები, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების (მათ შორის, დონორი ორგანიზაციების) წარმომადგენლები.

ცალკე უნდა აღინიშნოს ეგსზ-ში წესრიგის დაცვისა და ზონის მართვის ორგანოთა გადაწყვეტილებების აღსრულების უზრუნველყოფი ძალების საკითხიც ყველაზე ოპტიმალურად გამოიყერება მე-6 პარაგრაფში აღწერილი უსაფრთხოების მოდელი. უსაფრთხოების უზრუნველყოფი ძალები, ეგსზ-ის მმართველი ორგანოს გადაწყვეტილებათა შესაბამისად და მათ შესასრულებლად, დადგენილი წესით განახორციელებენ თავიანთ ფუნქციებს.

განხილული მოდელის გამართული მუშაობისათვის ხელშემშლელი სამართლებრივი დაბრკოლებების თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია, რომ მრავალმხრივი კომისიის თუ ეგსზ-ის მმართველი ორგანოს ფარგლებში მიღწეული პრინციპული შეთანხმებები პარალელულ რეჟიმში აისახოს საქართველოს კანონში „აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე ეგსზ-ის შექმნისა და ფუნქციობის შესახებ“. ამისათვის საჭიროა, რომ ეკონომიკური განვითარების სპეციალური ზონების სამეთვალყურეო საბჭოს (დეტალურად განხილულია 7.1.3 პარაგრაფში) წარმომადგენლები ქართული მხრიდან ჩაერთოს ეგსზ-ის შექმნისა და ფუნქციობის ყველა საკითხში. ეს წარმომადგენლები, ერთი მხრივ, მეთვალყურეობას გაუწევს საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვას, ხოლო მეორე მხრივ, მიმდინარე პროცესების შესახებ მუდმივად ინფორმირებული ეყოლება ეკონომიკური განვითარების სპეციალური ზონების სამეთვალყურეო საბჭო. საჭიროების შემთხვევაში, მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ეკონომიკური განვითარების სპეციალური ზონების სამეთვალყურეო საბჭო სათანადო წინადადებით მიმართავს საქართველოს მთავრობას, რათა ამ უკანასენელმა მოამზადოს შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივები „აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე ეგსზ-ის შექმნისა და ფუნქციობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე და წარუდგინოს ისინი საქართველოს პარლამენტს.

რაც შეეხება აფხაზური მხარის მიერ მრავალმხრივი კომისიის თუ ეგსზ-ის მმართველი ორგანოს ფარგლებში მიღწეული პრინციპული შეთანხმებების შესრულების უზრუნველყოფისათვის აუცილებელი სამართლებრივი პროცედურების წარმართვის საკითხს, ეს უნდა მოწესრიგდეს მათ მიერვე დადგენილი და მისაღები წესით.

### 7.3. დავების გადაწყვეტა ებსზ-ზ0

ეგსზ-ის სპეციფიკიდან გამომდინარე, მასში მოქმედ ეკონომიკურ სუბიექტებს შორის კერძო სამართლებრივი სამოქალაქო დავისა და ეკონომიკურ სუბიექტსა და ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის ადმინისტრაციული დავების, მათ შორის, საგადასახადო დავის, გადასაწყვეტიად მიზანშეწონილია კანონით განისაზღვროს საარბიტრაჟო სასამართლოს შექმნა, რომელიც იმოქმედებს კერძო არბიტრაჟებისთვის დადგენილი წესით. კერძოდ, საარბიტრაჟო სასამართლოს წევრებს – შესაძლო არბიტრებს – აირჩევს ეგსზ-ის მმართველი საბჭო უკედა წევრის თანხმობით, რომელთაგან თითო არბიტრსაც აირჩევენ მოღავე მხარეები, ეს ორი არბიტრი კი იმავე შემადგენლობიდან აირჩევს მესამე არბიტრს. ამგარად შექმნილი არბიტრაჟის გადაწყვეტილება საბოლოო უნდა იყოს და მისი გასაჩივრება არ უნდა შეიძლებოდეს.

#### 7.4. საქართველოს სახელმწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა ბავშვენა ებსზ-ის შემთხვევაში და ფუნქციონირებაზე

აფხაზეთში კონფლიქტის დაწყების შემდეგ საქართველოს აღებული აქვს რამდენიმე ვალდებულება (იურიდიული თვალსაზრისით სხვადასხვა ძალის მქონე), რომლებიც გარკვეულ პრობლემებს ქმნიან წარმოდგენილი პროექტის განხორციელებისთვის. ამ თვალსაზრისით ორი ძირითადი პრობლემა ჩანს:

1. დსთ-ის ეგიდით მიღებული აქტები. მაგალითად, „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში კოლექტიური სამშვიდობო ძალების შესახებ დებულების დამტკიცების შესახებ“ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების 1996 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილება, რომლითაც სამშვიდობო ძალებს მიენიჭათ ტვირთების კონტროლის უფლება. ამ უფლების გასაუქმებლად ან ისევ დსთ-მ უნდა მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება, რაც შეიძლება პრობლემური აღმოჩნდეს, ან უნდა გამოვიყენოთ 7.1.1 პარაგრაფში აღნიშნული გზა, ანუ კონსტიტუციური კანონის მექანიზმი, ვინაიდან კონსტიტუციურ კანონს უპირატესი იურიდიული ძალა აქვს საერთაშორისო ნორმის მიმართ.
2. ეს არის მრავალმხრივი კონისიის ეგიდით მოლაპარაკებების შედეგად დადგებული შეთანხმებები. აქ პრობლემა ბევრად უფრო მარტივია, ვინაიდან მხარეთა დაინტერესების შემთხვევაში ძალზე მარტივია ადრე მიღებულ შეთანხმებათა გადასინჯვა. გარდა ამისა, ამ შეთანხმებათა სამართლებრივი ძალა პრინციპში გაურკვეველია. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ამ შეთანხმებებს არანაირი სამართლებრივი ძალა არა აქვთ, მათი შესრულება მხოლოდ კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. ამის თქმის საშუალებას იძლევა „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად „საერთაშორისო ხელშეკრულება არის საქართველოს მიერ უცხო სახელმწიფოსთან (სახელმწიფოებთან) ან საერთაშორისო ორგანიზაციასთან (ორგანიზაციებთან) წერილობითი ფორმით დადგებული შეთანხმება,

რომელიც რეგულირდება საერთაშორისო სამართლის ნორმებით, განურჩევლად იმისა, წარმოდგენილია იგი ერთი თუ რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებული ღოკუმენტით და მიუხედავად მისი კონკრეტული სახელწოდებისა“, ანუ ოთხმხრივი კომისიის ეგიდით ხელშეკრულებული არ გაფორმებულა არც სახელმწიფოსთან, არც საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ამდენად, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საქართველო რაიმე საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებით შებოჭილი არ არის.

აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის მიმღებარე რაიონების  
ადმინისტრაციული და უზიგური რუკები  
(1-ლი და მე-2 დანართების განმარტება)

აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის მიმღებარე რაიონების ადმინისტრაციული და ფიზიკური რუკები (ელექტრონული ვერსია), GIS სისტემის გამოყენებით, მომზადდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ. მათი მეშვეობით შესაძლებელია მრავალგვარი ინფორმაციის მიღება, მათ შორის, შესაძლებელია ეკონომიკური განვითარების სპეციალური ზონის ოპტიმალური საბაჟო საზღვრის დადგენა (რომელიც შეიძლება არ დაემთხვეს ადმინისტრაციულ საზღვრებს), რაც გაამარტივებს როგორც საბაჟო კონტროლს, ასევე უსაფრთხოების დაცვას, შეამცირებს ზონის ადმინისტრირებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსისა და ფინანსური სახსრების რაოდენობას. ნიმუშის სახით წარმოდგენილ პროექტს თან ერთვის რეგიონის ადმინისტრაციული და ფიზიკური რუკები.

\*სავარგული მიწების სერტიფიკაცია გაცემული და გაცემის გარეშე დარჩენილი მიწების აღრიცხვა გალო და ონაშენიშვილის არის დაფინანსირებული.

## მრავალფლიანი ნარგავები (პუქტარებში)

(საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სტატისტიკის დეპარტამენტის დღეისათვის არსებული მონაცემების მიხედვით)

№	მრავალფლიანი პუქტარების დასახელება	ზუგდიდი	წალენჯიხა	გალი* (1997 წ.)	ოჩამჩირე (1992 წ.)
1	ჩაი	5167	2250	8645	5141
2	ციტრუსი: მათ შორის, მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი, ფეიხოა, კივი	445 384 5 25 16 15	20 5 — 7 — 8	3787 3388 50 319 30 —	1098 777 79 200 50 —
3	თხილი	3900	1500	2800 (2005 წ.)	—
4	თამბაქო	—	—	—	380
5	ხეხილი	453	281	859	222
6	ვენახი	308	436	220	186
7	თუთა	—	—	363	171
8	ეთერზეთები	—	—	403	1638
9	სხვადასხვა	—	—	826	—
10	სულ	11048	4984	16503	8456

